სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრთა 2024 წლის 5 ივლისის არჩევნების ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით შექმნილი საარჩევნო კომისიის სხდომის

ოქმი № 1

ქ. თბილისი 06/06/2024

17:00 სთ.

სხდომას ესწრებოდნენ:

1. **ზურაბ გოგშელიძე**
2. **აკაკი მიქაბერიძე**
3. **მირანდა მიქაძე**
4. **სალომე ჩიტიშვილი**
5. **ლევან ხარანაული**
6. **პავლე ჯაგუნავა**

2024 წლის 6 ივნისს, 17:00 საათზე სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის II კორპუსის 310 აუდიტორიაში გაიმართა აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევნებისათვის შექმნილი საარჩევნო კომისიის პირველი სხდომა. სხდომა გახსნა კომისიის უხუცესმა წევრმა - ლევან ხარანაულმა და დააყენა საკითხი კომისიის თავმჯდომარის არჩევის თაობაზე. კომისიის წევრებმა აკაკი მიქაბერიძემ და მირანდა მიქაძემ კომისიის თავმჯდომარის კანდიდატად დაასახელეს ზურაბ გოგშელიძე. კომისიის წევრების მიერ სხვა კანდიდატი არ დასახელებულა.

1. <u>სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრთა 2024 წლის 5 ივლისის არჩევნების ჩატარებისთვის შექმნილი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის არჩევა.</u>

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა ფარული კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ საარჩევნო კომისიის დამსწრე წევრები.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 6

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს:

საარჩევნო კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნეს - ზურაბ გოგშელიძე.

კომისიის მიერ არჩეულმა თავმჯდომარემ - ზურაბ გოგშელიძემ კომისიის წინაშე დასვა საარჩევნო კომისიის მდივნის არჩევის საკითხი და წარმოადგინა აკაკი მიქაბერიძის კანდიდატურა. სხვა კანდიდატი კომისიის წევრების მიერ არ დასახელებულა.

2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრთა 2024 წლის 5 ივლისის არჩევნების ჩატარებისთვის შექმნილი საარჩევნო კომისიის მდივნის არჩევა.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა ფარული კენჭისყრა, მასში მონაწილეობა მიიღეს საარჩევნო კომისიის სხდომის დამსწრე წევრებმა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 6

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს:

საარჩევნო კომისიის მდივნად არჩეულ იქნეს - აკაკი მიქაბერიძე.

თავმჯდომარე:

/ზურაბ გოგშელიძე/ ----------

მდივანი:

/აკაკი მიქაბერიძე/ ----------